პოლონეთის გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლაში

დღეს ჩვენ იმ მოცემულობაში ვცხოვრობთ, სადაც შეიძლება საინფორმაციო მანიპულაციებით, მიზანმიმართული დეზინფორმაციის მსხვრეპლი გახდეს ყველა ჩვენთაგანი. განსაკუთრებით ის პირები, ვინც ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით სოციალურ მედია და ონლაინ პლატფორმებს იყენებს, ანუ ინტერნეტ მომხმარებელი ცრუ ინფორმაციის პოტენციური მსხვრეპლია.

რა არის დეზინფორმაცია?

დეზინფორმაცია დიდი ხანია რაც არსებობს საზოგადოებაში, მაგრამ ბოლო პერიოდში მისი მაშტაბები და გავრცელების არეალი შეიცვალა. ინტერნეტის საშუალებით ინფორმაცია არა მარტო გაიზარდა, არამედ ის მრავალფეროვანიც კი გახდა. სოციალურმა მედიამ შექმნა ახალი საჯრო სივრცე, რომელიც შერჩეულ აუდიტორიაზე ნებისმიერი მესიჯის გასავრცელებლად გამოიყენება.

როგორც ევროპის კომისია განმარტავს, დეზინფორმაცია არის: ,,დაზუსტებით ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც 6 Fake news არის ნებისმიერი შეცდომაში შემყვანი ან დამახინჯებული ინფორმაცია.რომელიც შექმნილია, წარმოდგენილია ან ვრცელდება ეკონომიკური მოგებისთვის ან საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი ზიანი:

1. საზოგადოებრივ ზიანში მოიაზრება როგორც დემოკრატიული პროცესებისათვის მიყენებული ზიანი, ასევე ის ზიანიც, რომელიც შეიძლება მიადგეს მოქალაქეების ჯანმრთელობას, გარემოს ან უსაფრთხოებას.

2. დეზინფორმაცია ზიანს აყენებს საჯარო დებატებს, ძირს უთხრის მოქალაქეების ნდობას ინსტიტუტებისა და მედიის მიმართ და იწვევს ისეთი დემოკრატიული პროცესების დესტაბილიზაცია, როგორიც არის მაგალითად არჩევნები“

დეზინფორმაცია საფრთხეს უქმნის დემოკრატიული პროცესებს, რომლის მიზანიცაა მედიის, სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტების შერყევა. რაც დემოკრატიისთვის სერიოზული გამოწვევაა.
ცრუ ინფორმაციის გავრცელაბა იწვევს პოლარიზაციას, უარეს შემთხვევაში კი - ძალადობრივ კონფლიქტს. დეზინფორმაციის გავრცელები, არა მარტო დემოკრატიული ინსტიტუტები, არამედ ისეთ სფეროები, როგორიციაა საზოგადოების ჯანდაცვა და ტერიტორიული უსაფრთხოებაც კი შეიძლება, აღმოჩნდეს საფრთხის ქვეშ.

ბევრი ექსპერტის აზრით, დახურულ და ღია საზოგადოებათა გლობალური დაპირისპირების ონლაინ სამყაროში გადანაცვლებისას, ბრძოლის ამ ველზე უპირიტესობა რუსეთის და ექსტრემისტული დაჯგუფებების მხარესაა, რომლის მიზეზადაც, ხშირად ამ ძალების მიერ დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების ზედმიწევნით გათვლილი კამპანიების გამოყენება სახელდება.
სოციალური მედია და ონლაინ პლატფორმები საარჩევნო კამპანიების საწარმოებლად და პოლიტიკური მესიჯების გასავრცელებლად სულ უფრო ხშირად გამოიყენება. რასაც რუსეთი წარმატებით იყენებს, რიგ ქვეყნებში.

პოლონური გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლაში?

დეზინფორმაციის მსხვრეპლი დანარჩენ მსოფლიოს მსგავდ არის საქართველოც, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გყავს ისეთი მეზობელი როგორიც არის რუსეთი, რომლიც ცდილობს თავისი გავლენ გააძლიეროს საქართველოზე, ამით კი დაიმორჩილოს ქვეყანა.

დეზინფორმაციის გავრცელების საპასუხო ღონისძიებებთან დაკავშირებით ევროავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლა, მაგალითად პოლონეთის მაგალითის გაზიარება ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ისინიც განიცდიან რუსული აგრესიის დეზინფორმაციული კამპანიების გავლენას.

პოლონეთში, სულ უფრო მზარდია სოციალური ქსელების მეშვეობით დეზინფორმაციის გავრცელება, როგორც ხელისუფლების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ. ონლაინ კამპანიის ნაწილია ყალბი, გაზვიადებული განაცხადები და გაყალბებული ციტატები. 2019 წლის ევროპის პარლამენტის არჩევნების წინ ანტიევროპული, ანტიამერიკული, ანტისემიტური და ანტიგერმანული სენტიმენტები უფრო ხილვადი გახდა. იმავე პერიოდში Facebook-ითა და Twitter-ით ხშირად ვრცელდებოდა ე.წ. „უსარგებლო ამბები“ („junk news“), გაიზარდა კოორდინირებული ტროლების აქტივობები. კერძოდ კი, სოციალურ მედიაში ჩნდებოდა პოსტები და კომენტარები კონკრეტული საკითხის, ან პოლიტიკური ფიგურის მხარდასაჭერად თუ საწინააღმდეგოდ. კოორდინირებული კამპანიების წარმოებაში შემჩნეულები იყვნენ თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც. მაგალითად, მმართველი პარტიის, „უფლება და სამართლიანობის“ (PrawoiSprawiedliwość(PiS)) მიერ დანიშნული იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ლუკას პიებიაკი იძულებული გახდა, 2019 წლის აგვისტოში თანამდებობიდან გადამდგარიყო მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ იუსტიციის მინისტრის მოადგილე აწარმოებდა კოორდინირებულ ონლაინ კამპანიას იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც აკრიტიკებდნენ სასამართლოში მთავრობის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს. ეს კამპანია „aferahejterska-ს“, ანუ „Hate Speech Affair-ის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნულ ფაქტს წინ უძღოდა მთავრობის ოპონენტების მიერ მინისტრის მოადგილის დადანაშაულება იმაში, რომ ის მოწინააღმდეგეებზე თავდასხმისთვის იყენებდა ტროლების ქარხანას. გამომძიებელმა ჟურნალისტებმა სხვა მსგავსი კოორდინირებული ტროლების აქტივობებიც გამოავლინეს. მათ შორის, Facebook-ის გვერდების მეშვეობით წარმოებული კოორდინირებული კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავდა მემარჯვენე ფრთის კანდიდატების (far-right candidates) გაძლიერებას და სექსუალური უმციროსებობის წინააღმდეგ მიმართული, ანტიიმიგრაციული და ანტისემიტური შინაარსის კამპანიების წარმოებას. გარდა ამისა, პოლონეთი უცხოური გავლენის ოპერაციების სამიზნეც გახდა. კონკრეტულად, ასეთი სახის ოპერაციები რუსეთის და რუსეთთან დაკავშირებული წარმომადგენლების მიერ განხორციელდა. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ რუსული დეზინფორმაციის კამპანიები სოციალურ მედიაში 2013 წლიდან გააქტიურდა, იმ მიზნით, რომ პოლონეთისა და უკრაინის, პოლონეთისა და რუსეთის ურთიერთობებში დაძაბულობა წარმოექმნა.

მიღებული ზომები

გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, სადაც პროგრესი შეიმჩნევა. ესენია: კიბერუსაფრთხოება, სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ წარმოებული აქტივობები (ფაქტებისგადამოწმება, ანალიტიკა, აქტივობები მედიაწიგნიერების კუთხით) და საერთაშორისო პროექტები, რომლებშიც პოლონეთი მონაწილეობს. პოლონეთი ატარებს გამოძიებებს მათ მიმართ, ვინც ეჭვმიტანილია რუს აგენტებთან ყალბი და გაზვიადებული შინაარსის შექმნაში.პოლონეთის ხელისუფლებამ შექმნა სტრატეგიული დოკუმენტები კიბერუსაფრთხოებაზე და წლის მარტში კიბერუსაფრთხოების სფეროში დანიშნა მთავრობის წარმომადგენელი.თუმცა შეინიშნება კოორდინაციის ნაკლებობა საინფორმაციო საფრთხეების მიმართ. ექსპერტები ფიქრობენ, რომ პოლონეთს არა აქვს რუსული ჩარევის საპასუხო სტრატეგია. არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოების დეზინფორმაციისგან დაცვაში. სამოქალაქო ორგანიზაციებმა საკუთარი პლატფორმები მოქალაქეებისთვის სწორი ინფორმაციის სხვადასხვა ვებგვერდებისა და ბლოგების საშუალებით მისაწოდებლად გამოიყენეს. კვლევებისა და ანალიტიკის გარდა, ჟურნალისტებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს პოლონეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში დეზინფორმაციის გავრცელებას და მისი გამოსავლენი კამპანიები წამოიწყეს. ტვიტერის გვერდი სახელწოდებით „Disinfo_ Digest“ პოლონეთში ჰიბრიდული ომის საწინააღმდეგო აქტივობების ჰაბი გახდა.აღნიშნული ჯგუფი ცდილობს გარე ძალების მიერ განხორციელებული კიბერ-აქტივობების გამოვლენას. „Disinfo_Digest-ის“ სოციალური მედიის მონიტორინგის პროგრამა, რეგიონის ანალიტიკოსებს შორის მისაბაძ მაგალითად მიიჩნევა.

ფაქტების გადამოწმება

პოლონეთში იქმნება სხვადასხვა ორგანიზაცია და ჯგუფები, რომლებიც ფაქტების გადამოწმებასა და რუსულ დეზინფორმაციასთან შეპასუხებაზე მუშაობენ. ასეთი ორგანიზაციები და ჯგუფებია მაგალითად: OKO.press, დემაგოგი (Demagog), მედიათავისუფლების მეთვალყურე (The Observatory of Media Freedom), Stopfake, Infoops, პოლონეთში რუსეთის მეხუთე კოლონა (Russian Fifth Column in Poland), პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ანალიზის ცენტრი (The Centre for Propaganda and Disinformation Analysis). ეს ორგანიზაციები რეგულარულად ახორციელებენ ფაქტების გადამოწმებას. მათი ძირითად მიზანია პოლიტიკოსებისა და სხვა საჯარო პირების მიერ გაკეთებული განცხადებების გადამოწმება, კომენტარებისა და ანალიზის მომზადება, როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ასევე ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე, მათ

შორის, პოლონეთის საწინააღმდეგო პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

პოლონეთი აფინანსებს და მონაწილეობს ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის განვითარების ცენტრის (NATO's Strategic Communications Center of Excellence _ STRATCOM COE) საქმიანობაში. აღნიშნული ჯგუფი საინფორმაციო ოპერაციების საპასუხოდ მუშაობს. პოლონეთის ხელისუფლება ციფრული თავდაცვის საკითხებზე ნატოსთან და ევროკავშირთან თანამშრომლობს. წლების წინ პოლონეთის ხელისუფლება აფინანსებდა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს, რომლებიც ევროპაში დეზინფორმაციის საფრთხეებზე მუშაობდნენ

როგორ უნდა ებრძოლოს საზოგადოება და სახელმწიფო დეზინფორმაციას?

საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტირს **თანადამფუძნებლის შალვა ძებისაშვილი** თქმით როცა დეზინფორმაციის უკან სახელმწიფო დგას, რეაგირების დონე, ხარისხი და მასშტაბიც სხვანაირი იქნება და პრდაპირ უნდა ხდებოდეს საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა სახელმწიფოს მაღალი კოორდინაციის და მედია თუ სხვა რელევანტური საზოგადოებრივი ჯგუფების აქტიური მონაწილეობით.

,,პირველ რიგში რა თქმა უნდა უნდა განისაზღვროს დეზინფორმაციის მოცულობა მასშტაბი და მისი წყარო, ანუ არის თუ არა დეზინფორმაციის გამავრცელებელი კერძო ორგანიზაცია, მედია საშუალება თუ სხვა სახის ორგანიზაციული სტრუქტურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეზინფორმაციის უკან მკაფიოდ სახელმწიფო უწყებების ან მათდამი დაქვემდებარებული მედიასაშუალებების თუ ორგანიზაციების იდენტიფიცირება. ამ შემთხვევაში - ანუ როცა დეზინფორმაციის უკან სახელმწიფო დგას, რა თქმა უნდა რეაგირების დონე, ხარისხი და მასშტაბიც სხვანაირი იქნება და პრდაპირ უნდა ხდებოდეს საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა სახელმწიფოს მაღალი კოორდინაციის, და მედია თუ სხვა რელევანტური საზოგადოებრივი ჯგუფების (ორგანიზაციების) აქტიური მონაწილეობით.

სახელმწიფოს უსაფრთხოების ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოება და სტრატეგიული კომუნიკაციები. შესაბამისად ექნება თუ არა არამეგობრულ თუ მტრულ პროპაგანდას ადგილი, სახელმწიფო მუდამ უნდა ახორციელებდეს პოლიტიკის ფორმირებას საინფორმაციო სფეროში და არსებულ დეზინფორმაცია-პროპაგანდაზე რეაგირების დაგეგმვა, განხორციელება და შედეგების მონიტორინგს შესაბამისი უწყებათშორისი ფორმატის ფარგლებში (მაგ. უშიშროების/უსაფრთხოების საბჭო).

ამავე ფორმატში უნდა არსებობდეს სპეციალისტებით დაკომპლეტებული მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი,რომელიც სხვადასხვა უწყებებისგან შემდგარი პირების მიერ ახორციელებს საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება ,განხორციელების კოორდინაციას და მონიტორინგს. ამავე ჯგუფის ფარგლებში უნდა ხებოდეს მუდმივი პერიოდულობით მედიასაშუალებებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან მუშაობა (ინფორმირრება პროპაგანდის წყაროების, გამოყენებული მედია სივრცეების, მიზნებისა და თემების შესახებ).

საკუთრივ მედია საშუალებების დახმარებით მუდმივად უნდა ხებოდეს ე.წ. თვით-შემოწმება მცდარი ინფორმაციის არაგანზრახ გავრცელების საშიშროების შემცირების მიზნით.

საერთაშორისო პარტნიორებთან , როგორც სახელმწიფო დონეზე ასევე საერთაშორისო მედია საშუალებებთან როგორც ორმხრივ ფორმატში ასევე მრავალმხრივ ფორმატში რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით მუდმივი კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვერების ჩატარება დეზინფორმაციის წყაროების, სფეროებისა და მიზნების მუდმივი განახლების და მონიტორინგის მიზნით.“ - **ამბობს შალვა ძებისაშვილი**

ავტორი-მერაბ ცაავა